31 დეკემბერი
კვირა,
№ 215 (1851)
1961 წ.
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ბიბლიოთეკა
თბილისი



მატჩი დაიწყება 16 სექტემბერს

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). 29 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციის პასუხისმგებელი მუშაკების თანდასწრებით მსოფლიო ჩემპიონმა ე. ბიკოვამ და ნ. გაფრინდაშვილმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მსოფლიო პირველობაზე მატჩის შესახებ.

ე. ბიკოვა-ნ. გაფრინდაშვილის მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელზე გაიმართება სექტემბერ-ოქტომბერს მოსკოვში. მეტოქეები გაითამაშებენ 16 პარტიას. ორთაბრძოლის საზეიმო გახსნა მოეწყობა 16 სექტემბერს, ხოლო პირველი პარტია შედგება 17 სექტემბერს.

მატჩის მთავარი არბიტრობა ეთხოვა საერთაშორისო ოსტატს ნ. გრუშკოვა-ბელსკას (ჩეხოსლოვაკია).

სურათზე: მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი ნ. გაფრინდაშვილი (მარცხნივ) და მსოფლიო ჩემპიონი ე. ბიკოვა.

„ბ“ კლასში თამაშისათვის

„ბ“ კლასის ფრენბურთელთა 1962 წლის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად თბილისში ჩატარდა შესარჩევი ტურნირი. „ბ“ კლასში გადასვლისათვის იბრძოდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის, „განთიადისა“ და სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივები. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა „განთიადის“ გუნდი დაამარცხა ანგარიშით 3:2, სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივთან შეხვედრაში კვლავ ფიზკულტურელებმა გაიმარჯვეს (3:1) და „ბ“ კლასში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ქალთა გუნდებიდან ეს უფლება მიეცათ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელებს.

ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

ამას წინათ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს VI პლენუმმა, რომლის დღის წესრიგში იყო საკითხი — „ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით“. მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ. რომანოვი.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ დიდი ამოცანების შესახებ, რომლებიც დასახულია ჩვენი პარტიის ახალ პროგრამაში და რომელთა ცხოვრებაში განუხრელად გატარება კიდევ უფრო ძლიერს გახდის ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოს, უფრო ბედნიერად იცხოვრებს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად ფიზიკური კულტურა ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს შეადგენს, რომ ხალხის ფართო მასების ფიზიკური აღზრდის სწორმა ორგანიზაციამ დიდი ნაყოფი მოგვცა. ამის საილუსტრაციოდ ნ. რომანოვს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ ამჟამად საბჭოთა სპორტული შედეგების დონე ბევრად ჭარბობს კაპიტალისტური სამყაროს სპორტულ დონეს. კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურელთა რიცხვი 10 მილიონი კაცით გაიზარდა. თუ კი 1953-1956 წლებში მომზადებულ იქნა 3,5 მილიონი თანრიგოსანი, 3500 სპორტის ოსტატი, 1957-60 წლებში მომზადდა 6 მილიონი თანრიგოსანი, 12000 სპორტის ოსტატი.

კომუნისტური პარტიის პროგრამაში აღნიშნულია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად ამაღლდა სკოლების ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა. ამჟამად თითქმის ყველა სკოლაში ჩამოყალიბებულია ფიზკულტურული კოლექტივი, მაგრამ ბევრ სკოლაში კმაყოფილდებიან მხოლოდ აკადემიურ მეცადინეობათა ჩატარებით, ისიც კვირაში ერთი-ორი გაკვეთილის რაოდენობით. ეს ფასავარგელია. ძალზე ცოტა დაიგო ბავშვი ვერაფერს ეუბნებოდა, ნოსწავლეს. ჩვენ საქმე ისე უნდა მივაწყოთ, რომ ყოველმა მოსწავლემ ყოველდღიურად გაკეთოს დილის გამამხნევებელი ვარჯიში, სალამოს გავიდეს სახელოვნოდ ანდა ჩაებას მოძრავი თამაშების რომელიმე სახეობაში. მერვეკლასელმა მოსწავლემ უნდა ჩაბაროს იმშთ-ს, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ მშთ-ს ნორმატივი. ფართო გაქანება უნდა ჰპოვოს კლასგარეშე სპორტულმა საქმიანობამ. ამჟამად ჩვენთან არსებობს 1715 სპორტული სკოლა, რომლებშიც კულტივირებულია სპორტის 33 სახეობა, ბავშვთა ფიზიკურად გაკაჟებას ემსახურება 13 ათასი მწვრთნელი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გაძლიერონ ბავშვებთან მუშაობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ყოველ რაიონს ჰქონდეს ბავშვთა სპორტული სკოლა, პრაქტიკაში უნდა დავნერგოთ საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტული სკოლების ჩამოყალიბება.

დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს სტუდენტთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვის საქმეში. დღევანდელი სტუდენტი ხვალ იმუშავებს საწარმოში, კოლმეურნეობაში, სკოლაში. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ კურსდამთავრებულები სამუშაოზე განაწილების შემდეგ ადგილებზე აქტიურად ჩაებან თავიანთი ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობაში.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს სოფლის ფიზკულტურულ მოძრაობაზე. ამჟამად სოფელ ადგილებში ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ჩაბმულია 7 მილიონი კაცი. მაგრამ მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, სოფლებში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია მთელი რიგი ამოცანები, რომელთა ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო წინ წაწევდა საკოლმეურნეო მინდვრების პატრიოტთა ფიზიკური აღზრდის საქმეს.

ნ. რომანოვი ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა დიდ წარმატებებზე, რომლებიც მათ მოიპოვეს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, საკავშირო პირველობებზე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

პლენუმზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ნ. რომანოვი. პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით“. პლენუმმა მოუწოდა ჩვენი ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებს თავიანთი მუშაობა წარმართონ მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისათვის, ჩვენი პარტიის მიერ დასახული ამოცანების ცხოვრებაში გატარებისათვის.

ეს საინტერესოა

ინ. სადაც ოლიმპიური თამაშები ჩაეგარდება

I იანვარს ინსბრუკში (ავსტრია), სადაც 1964 წელს განხრახულია ზამთრის მორიგი ოლიმპიური თამაშების ჩატარება, გაიმართება მსოფლიოს უძლიერეს ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრება — 4 ტრამპლინის ტურნე. ავსტრიაში უკვე ჩავიდა საბჭოთა კავშირის გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან კ. წაქაძე, ნ. კამენსკი, ნ. შამოვი, ი. სამსონოვი და რ. ბიკოვი.

სურათზე: 4 ტრამპლინის ტურნეს მონაწილე კობა წაქაძე ტრამპლინიდან ხტომის დროს.

წინაა სალო ფლორი

გამოჩენილი გროსმაისტერი სალო ფლორი მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან ერთად ინგლისელებმა მიიწვიეს ჰასტინგსის საახალწლო ტურნირზე.

— გასაგებია მ. ბოტვინიკის მიწვევა ტურნირზე, — ამბობს ს. ფლორი, — ჰასტინგსის 1934-35 წლების ტურნირში იგი „ჩავარდა“, ახლა კი რევანშის აღების საშუალება ეძლევა.

—მაგრამ იკითხავთ—ფლორს რაღას ეპატიჟებიან, — განაგრძობს ხუმრობის მოყვარული გროსმაისტერი. — ამის შესახებ ტურნირის ორგანიზატორების წერილში ჩემდამი ნათქვამია: „ჰასტინგსის ტურნირში სამჯერ ზედიზედ პირველი ადგილის დაკავების თქვენი „რეკორდი“ საშიშროებაშია. მას ემუქრება გროსმაისტერი გლიგორიჩი, რომელმაც ორჯერ უკვე დაიკავა პირველი ადგილი ჩვენს ტურნირებში“ დიახ, ყოფილა ასეთი დროც — 1931-32, 1932-33, 1933-34 წლები, როცა პირველ ადგილებს ვიკავებდი.

ტურნირმა ჰასტინგსში შეკრიბა 10 მონაწილე. აქ არიან გროსმაისტერები მ. ბოტვინიკი, ს. ფლორი, ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), კ. რობაჩი (ავსტრია), ა. პისჰაიერი (აშშ), ოსტატები მ. აარონი (ინდოეთი), ლ. ლიტლვუდი, ლ. ბარდენი, დ. პენროზი, რ. ვეიდი (ყველა ინგლისიდან).

ბრძოლა დაიწყო სიურპრიზით. გლიგორიჩი დამარცხდა ლიტლვუდთან. ამან თითქოს გაამხნევა ფლორი, რომელმაც განელილ სამ ტურში 2,5 ქულა მოაგროვა. ბოტვინიკს 2 ქულა აქვს და ერთი გლიგორიჩთან ზედმეტი პაიკით გადადებული პარტია.

როგორც ჩანს, ს. ფლორმა „ძველი“ თამაში გაიხსენა. მისი „რეკორდი“ ალბათ დარჩება ხელშეუხებელი.

გუშინ სპორტის სასახლეში

სპორტის სასახლეში შედგა ამხანაგური საქალაქთაშორისო მატჩი ხელბურთში კიევისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის. ანგარიშით 32:22 გაიმარჯვეს თბილისელებმა. დაწვრილებითი შედეგები იხილეთ შემდეგ ნომერში.

1962 წლის რესპუბლიკურ სპორტული

კომპლექსური ღონისძიებანი

1. საქართველოს სსრ სპარტაკიადა:
ა) ფიზიკური კულტურის კოლექტივებში. ადგილებზე. აპრილი-მაისი.
ბ) რაიონებსა და ქალაქებში. ადგილებზე. ივნისი-აგვისტო.
გ) ზონებში (კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, საგზატკეცილო ველოსიპედი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ტყვიით სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, სიმძიმეების აწევა, ფეხბურთი, ჭადრაკი, შაში, ცხენოსნობა). განსაკუთრებული გეგმით, სექტემბერი-ოქტომბერი.
2. უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადა. თბილისი. 12-29 ივლისი.
3. ტექნიკუმების რესპუბლიკური სპარტაკიადა:
ა) ტექნიკუმებში. ადგილებზე. 10 მაისამდე.
ბ) რაიონებსა და ქალაქებში. ადგილებზე. 15 მაისამდე.
გ) ზონებში. გეგმის მიხედვით. 1 ივნისამდე.
დ) რესპუბლიკური სპარტაკიადა. თბილისი. ივნისი.
ე) სსრ კავშირის სპარტაკიადა. მოსკოვი. 20-25 ივლისი.

აკრობატიკა

1. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 22-25 მაისი.
2. საქართველოს პირად-გუნდური ტერიტორიული პირველობა. ფოთი. 25-29 ნოემბერი.
3. საქართველოს სსრ პირად-გუნდური საუწყებათშორისო პირველობა. თბილისი. 10-14 ივლისი.

ალპინიზმი

1. სპორტული ასვლები. ტიან-შანი. ივლისი-აგვისტო.
2. საკვალიფიკაციო ასვლები. კავკასიონი, იანვარი-თებერვალი.
3. შეჯიბრება კლდეზე ცოცვაში. თბილისი. მაისი-ოქტომბერი.
4. სპელეოლოგიური ჩასვლები. დასავლეთ კავკასიონი. აგვისტო-სექტემბერი.

საბაილარო ნიჩბოსნობა და კანოე

1. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. მცხეთა. 19-23 ივლისი.
2. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაში. პიარნუ. 13-16 ივლისი.
3. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ფოთი. 11-15 აგვისტო.
4. მონაწილეობა მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში (ლენოე). კალინინი. 25-31 აგვისტო.
5. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. ფოთი. 16-22 სექტემბერი.
6. რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრიზზე. ფოთი. 13-17 ოქტომბერი.

კალათბურთი

1. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. სოხუმი. 3-10 იანვარი.
2. მონაწილეობა საშუალო ასაკის მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში. ფოთი. 3-10 იანვარი.
3. „ა“ კლასში წარდგენილი გუნდების მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. თბილისი. 3-10 იანვარი. დუშანბე. 28 მარტი-1 აპრილი.
4. სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის (ვაჟები და ქალები). სხვადასხვა ქალაქებში. I წრე: 25 იანვარი-15 მარტი. II წრე: 25 ივნისი-31 აგვისტო.
5. I ჯგუფის გუნდების ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 2-9 თებერვალი.
6. სსრ კავშირის პირველობა „ბ“ კლასის გუნდებს შორის. ზონებში. 12-21 მარტი.
7. საქართველოს სსრ პირველობა I ჯგუფში. ქუთაისი. 30 ივნისი-8 ივლისი.
8. საქართველოს სსრ პირველობა II ჯგუფში რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით. ჭიათურა. 21-29 ივლისი.

კრივი

1. ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრები. დებულების მიხედვით. ადგილებზე. იანვარი-თებერვალი.
2. საქართველოს სსრ პირადი პირველობა. გორი. 15-19 მარტი.
3. მოზარდთა რესპუბლიკური პირადი პირველობა. სოხუმი. 23-28 მარტი.
4. შესარჩევი შეჯიბრება სსრ კავშირის პირადი პირველობისათვის. თბილისი. 18-23 აპრილი.
5. ახალგაზრდული საკავშირო პირადი შეჯიბრება. კაუნასი, უფა. 18-23 აპრილი.
6. სსრ კავშირის პირადი პირველობის ფინალური შეჯიბრება. კიევი. 22-28 მაისი.
7. მოზარდთა საკავშირო პირადი შეჯიბრება. სევასტოპოლი. 5-13 აგვისტო.
8. ქალაქებისა და რაიონების მოზარდთა გუნდების სამატჩო შეხვედრები. დებულების მიხედვით. ადგილებზე. ნოემბერი.
9. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. თბილისი. 19 ნოემბერი-4 დეკემბერი.

თავისუფალი ჭიდაობა

1. ახალგაზრდული რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. თბილისი. 7-11 მარტი.
2. მონაწილეობა ახალგაზრდულ საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაში. მინსკი. 4-9 აპრილი.
3. მოზარდთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. ბათუმი. 16-20 მაისი.
4. შესარჩევი შეჯიბრებები სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობისათვის (5 ზონაში). როსტოვი, სევასტოპოლი, კაუნასი, ბაქო, ალმა-ატა. 3-6 ივლისი.
5. მოზარდთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება. დნეპროპეტროვსკი. 25-31 აგვისტო.
6. ფინალური შეჯიბრება სსრ კავშირის პირად პირველობაზე. რიგა, 14-19 სექტემბერი. ლენინგრადი. 21-26 სექტემბერი.
7. საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ხოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადის პროგრამით. კრასნოდარი. 10-16 აგვისტო.
8. საქართველოს სსრ გუნდური პირველობა. თბილისი. 7-11 ოქტომბერი.
9. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. თბილისი. 5-10 დეკემბერი.

ქართული ჭიდაობა

1. მოზარდთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. ბათუმი. 7-11 მაისი.
2. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ბათუმი. 1-5 ივნისი.
3. ქალაქებისა და რაიონების სამატჩო შეხვედრები:
ა) გორი-ცხინვალი-კასპი. გორი. 22-25 ივნისი.
ბ) ქუთაისი-ბათუმი-სოხუმი. ქუთაისი. 27-29 ივნისი.
გ) საგარეჯო-მცხეთა-დუშეთი. მცხეთა. 23-25 ივნისი.
4. სამატჩო შეხვედრა თბილისი-საქართველოს ნაკრები. თბილისი. 12-13 ივლისი.
5. საქართველოს სსრ აბსოლუტური პირველობა. თბილისი. 23-27 ოქტომბერი.

კლასიკური ჭიდაობა

1. საქართველოს სსრ პირადი პირველობა. თბილისი 10-14 მაისი.
2. მოზარდთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. გორი. 14-18 ივნისი.
3. ხოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება სპარტაკიადის პროგრამით. ბათუმი. 4-9 ივლისი.
4. შესარჩევი შეჯიბრებები სსრ კავშირის პირადი პირველობისათვის (5 ზონაში). ლენინგრადი, მინსკი, რიგა, ერევანი, ტაშკენტი. 27-30 ივლისი.
5. ხოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება სპარტაკიადის პროგრამით. კრასნოდარი. 10-16 აგვისტო.
6. მონაწილეობა მოზარდთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში. კრასნოდარი. 25-30 აგვისტო.
7. სსრ კავშირის პირადი პირველობის ფინალური შეჯიბრება. კაუნასი. 31 აგვისტო-5 სექტემბერი. ტალინი. 7-12 სექტემბერი.
8. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 23-27 ოქტომბერი.
9. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. კიევი. 18-24 დეკემბერი.

ჭიდაობა სამგო

1. მოზარდთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. გორი. 23-27 მარტი.
2. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 20-24 ივნისი.
3. მოზარდ მოჭიდავეთა სახეობლო გუნდების შეჯიბრება. საგარეჯო. 4-8 ივლისი.
4. ხოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. სოხუმი. 23-27 აგვისტო.
5. მოზარდთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება. ბაქო. 25-30 აგვისტო.
6. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. კიშინიოვი. 26 ოქტომბერი-1 ნოემბერი.

ველოსპორტი

1. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა კროსში. თბილისი. 17-19 თებერვალი.
2. საქართველოს სსრ თასი ვაჟთა შორის. სოხუმი. 29 მარტი-2 აპრილი.
3. მონაწილეობა ამიერკავკასიის მრავალდღიან რბოლაში. განსაკუთრებული მარშრუტით. 17-29 აპრილი.
4. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა გზატკეცილზე ტრეკის პროგრამით. ზუგდიდი. 18-21 მაისი.
5. სამატჩო შეხვედრა კიევი-თბილისი. თბილისი. 26-30 მაისი.
6. მონაწილეობა საკავშირო მრავალდღიან რბოლაში. განსაკუთრებული მარშრუტით. 23 ივნისი-2 ივლისი.
7. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა ტრეკზე. თბილისი. 14-18 ივლისი.
8. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. გეგმის მიხედვით. 1-6 სექტემბერი.
9. ველორბოლა მარშრუტით თბილისი-ლაგოდეხი-თბილისი. 22-23 სექტემბერი.
10. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე კრასნოდარში. კიევი. 27-29 სექტემბერი.
11. ველორბოლა მარშრუტით თბილისი-გორი-თბილისი. 7 ოქტომბერი.

წყალბურთი

1. სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის.
I წრე — წინასწარი თამაშები ჯგუფებში. სარატოვი, კიევი. 2-14 მარტი.
II წრე — ფინალური თამაშები:
ა) პირველი ტური I-X ადგილებისათვის. კიევი. 12-24 ოქტომბერი. XI-XX ადგილებისათვის. სარატოვი. 12-24 ოქტომბერი.
ბ) მეორე ტური I-X ადგილებისათვის. მოსკოვი. 23 ნოემბერი-5 დეკემბერი.
2. სსრ კავშირის 24 უძლიერესი გუნდის საკავშირო შეჯიბრება მოზარდთა შორის (16-18 წლები).
I ზონა. ბაქო. 24-30 მარტი.
II ზონა. ვილნიუსი. 24-30 მარტი.
III ზონა. ტალინი. 24-30 მარტი.
IV ზონა. მინსკი. 24-30 მარტი.
ფინალი. კიევი. 3-11 ნოემბერი.
3. სსრ კავშირის პირველობა „ბ“ კლასის გუნდებს შორის.
I ზონა. ვილნიუსი. 7-16 ივლისი.
II ზონა. სარკოვი. 7-16 ივლისი.
III ზონა. კრასნოდარი. 7-16 ივლისი.
ფინალი. ვოლგოგრადი. 6-17 სექტემბერი.
4. საქართველოს სსრ პირველობა. ბათუმი. 16-24 სექტემბერი.
5. რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრიზზე. სოხუმი. 26 აგვისტო-3 სექტემბერი.

საწყლოსნო-სამოტორო სპორტი

1. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ბათუმი. 18-23 აგვისტო.

ფრენბურთი

1. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. გორი. 3-10 იანვარი.
2. 15-16 წლის მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება ზონებში. გეგმის მიხედვით. იანვარი.
3. სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის. სხვადასხვა ქალაქებში.
I წრე. 25 იანვარი-15 მარტი.
II წრე. 25 ივნისი-31 აგვისტო.
4. I ჯგუფის გუნდების ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება. რუსთავი. 29 იანვარი-4 თებერვალი.
5. სსრ კავშირის პირველობა „ბ“ კლასის გუნდებს შორის.
ზონებში: ტალინი, ტარტუ, ბაქო, კიშინიოვი, ალმა-ატა, დონეცკი. 4 მარტი-13 აპრილი.
ფინალი. გეგმის მიხედვით. 1-8 ივლისი.
6. 17-18 წლის მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. გეგმის მიხედვით. მარტი-აპრილი.
7. საქართველოს სსრ პირველობა I ჯგუფის გუნდებისათვის. ბათუმი. 9-17 ივლისი.
8. საქართველოს სსრ პირველობა II ჯგუფის გუნდებისათვის სპარტაკიადის პროგრამით. ბორჯომი. 4-12 აგვისტო.

სპორტული ტანვარჯიში

1. მოზარდთა VIII პირად-გუნდური კომპლექსური შეჯიბრება (სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა). თბილისი. 31 მარტი-5 აპრილი.
2. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა ცალკეულ სახეობებში და საქართველოს სსრ თასი მრავალჭიდში. თბილისი. 12-17 აპრილი.
3. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაზე ცალკეულ სახეობებში და სსრ კავშირის თასზე მრავალჭიდში. მოსკოვი. 8-14 მაისი.
4. მონაწილეობა სსრ კავშირის ახალგაზრდულ პირად-გუნდურ შეჯიბრებაში (17-19 წლის ჭაბუკები და 15-17 წლის გოგონები). დნეპროპეტროვსკი. 10-16 ივლისი.
5. ახალგაზრდათა რესპუბლიკური პირადი შეჯიბრება (17-19 წლის ჭაბუკები და 15-17 წლის გოგონები). სოხუმი. 11-16 ივნისი.
6. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა მრავალჭიდში. თბილისი. 25-30 სექტემბერი.
7. თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის ნაკრები გუნდების პირად-გუნდური კომპლექსური შეჯიბრება (სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა). სოხუმი. 12-17 დეკემბერი.

მხატვრული ტანვარჯიში

1. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 4-9 მაისი.
2. რესპუბლიკური შეჯიბრება გოგონათა შორის. სოხუმი. 23-26 ივლისი.
3. მონაწილეობა საკავშირო შეჯიბრებაში გოგონათა შორის. კიშინიოვი. 20-23 აგვისტო.
4. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ფოთი. 23-27 ოქტომბერი.

აკადემიური ნიჩბოსნობა

1. საგაზაფხულო რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 13-17 აპრილი.
2. სამატჩო შეხვედრა: ბელორუსია-აზერბაიჯანი-მოლდავეთი-უკაზეთი-საქართველო. ფოთი. 15-18 მაისი.
3. მოზარდთა და ახალგაზრდათა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 15 ივლისი.
4. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 1-5 ივლისი.
5. სსრ კავშირის პირადი პირველობა. მოსკოვი. 14-19 ივლისი.
6. მონაწილეობა მოზარდთა და ახალგაზრდათა საკავშირო შეჯიბრებაში. პიარნუ, ტარტუ. 20-26 აგვისტო.
7. შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე რვამოსასმელიან და ერთმოსასმელიან ნავებით (ვაჟები). პიარნუ. 16-19 სექტემბერი.

ისინდი, ცხენბურთი

1. საქართველოს სსრ პირველობა. ფოთი. 1-7 სექტემბერი.

ცხენოსნობა

1. მოზარდთა რესპუბლიკური პირადი შეჯიბრება. თბილისი. 26-30 მაისი.
2. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა.
ა) დაბრკოლებათა გადალახვა და დიდი. მოსკოვი. 17-24 ივლისი.
ბ) სამეჯიდი და გახედვნა. მოსკოვი. 24-30 ივლისი.
3. მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება (პირადი ჩათვლა). ტალინი. 5-9 აგვისტო.
4. ხოფლის ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება ხოფლის სპორტსმენთა III სპარტაკიადის პროგრამით. მოსკოვი. 10-15 აგვისტო.
5. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა სპარტაკიადის პროგრამით. ფოთი. 8-15 სექტემბერი.

საციგურაო სპორტი

1. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა სპარტაკიადის პროგრამით. ბოგდანოვკა. 7-10 თებერვალი.
2. მონაწილეობა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადაზე. სვერდლოვსკი. 4-11 მარტი.
3. შეჯიბრება ზამთრის ხეზონის გახსნის პრიზზე. ბაკურიანი. 20-22 დეკემბერი.

მძლეოსნობა

1. საგაზაფხულო რესპუბლიკური პირველობა კროსში. თბილისი. 7-9 აპრილი.
2. სამატჩო შეხვედრა თბილისი-რიგა. თბილისი. 27-30 აპრილი.
3. სამატჩო შეხვედრა: აზერბაიჯანი-სომხეთი-მოლდავეთი-საქართველო. ერევანი. 19-21 მაისი.
4. რესპუბლიკური ზონალური შეჯიბრება სპარტაკიადის პროგრამით. ზუგდიდი, ჩიხატაური, სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, თელავი. 26 მაისი-10 ივნისი.
5. საქართველოს სსრ ხოფლის სკოლების შეჯიბრება. თბილისი. 25-30 ივნისი.
6. რესპუბლიკური პირადი შეჯიბრება მძლეოსნობის ჩამორჩენილ სახეობებში და 17-20 წლის მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 6-9 ივლისი.
7. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაზე უფროსი ასაკის მოზარდთა შორის (17-18 წელი). ლენინგრადი. 3-5 აგვისტო.
8. სამატჩო შეხვედრა რიგა-თბილისი. რიგა. 12-15 აგვისტო.
9. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაზე 19 წლის მოზარდთა შორის. კიევი. 16-18 სექტემბერი.
10. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 17-22 სექტემბერი.
11. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით. თბილისი. 27-31 ოქტომბერი.
12. საქართველოს სსრ ხაშმოდგომი რესპუბლიკური პირველობა. ბათუმი. 10-12 ნოემბერი.

ლელოგბურთი

1. საქართველოს სსრ პირველობა. ბათუმი. 23-30 სექტემბერი.

სათხილამურო სპორტი

1. ხტომები და ორჭიდი. მონაწილეობა ქალაქების ტრადიციულ მატჩში და პირად შეჯიბრებაში 3 ტრამპლინზე. ლენინგრადი, კავგოლოვო. 13-16 იანვარი.
2. სამთო-სათხილამურო სახეობანი. მონაწილეობა უძლიერეს სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებაში. ალმა-ატა. 13-17 იანვარი.

ნისძიებათა კალენდარული გეგმა

3. სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ბაკურიანი. 18-20 ივნვარი.
4. საქართველოს სსრ ზამთრის I სპარტაკიადა. ბაკურიანი. 6-11 თებერვალი.
5. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება. გეგმის მიხედვით. 17-24 თებერვალი.
6. მონაწილეობა სსრ კავშირის ხალხთა I ზამთრის სპარტაკიადაში. ბაკურიანი, სვერდლოვსკი. 4-11 მარტი.
7. რესპუბლიკური შეჯიბრება ხეზონის გახსნის პრიზზე. ბაკურიანი. 23-25 დეკემბერი.

საიალქნო სპორტი

1. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. სოხუმი. 23-27 ივნისი.
2. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა შვერტბოტერთა და იახტებით. ბათუმი. 21-26 ივლისი.
3. სამატჩო შეხვედრა საქართველო-აზერბაიჯანი. ბათუმი. 2-7 აგვისტო.
4. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაზე:
ა) შვერტბოტებით. რიგა. 14-24 სექტემბერი.
ბ) იახტებით. სევასტოპოლი. 28 სექტემბერი-8 ოქტომბერი.

ცურვა

1. საქართველოს სსრ უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრება. თბილისი. 3-8 თებერვალი.
2. სამატჩო შეხვედრა ბაქო-თბილისი. ბაქო. 24-29 მარტი.
3. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. კიევი. 11-16 აპრილი.
4. რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს სსრ სპორტკავშირის საბჭოს პრიზზე. სოხუმი. 25-30 ივნისი.
5. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა I და II ჯგუფებში. ბათუმი. 9-13 ივლისი.
6. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. ხარკოვი. 1-7 აგვისტო.

წყალში სტომა

1. სსრ კავშირის უძლიერეს მხტომელთა შეჯიბრება 1-მეტრიანი ტრამპლინიდან. მოსკოვი. 24-27 თებერვალი.
2. მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. ლვოვი. 25-30 მარტი.
3. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. კიევი. 10-15 აპრილი.
4. სამატჩო შეხვედრა ბაქო-თბილისი. ბაქო. 25-30 აპრილი.
5. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 1-6 აგვისტო.
6. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. ხარკოვი. 2-8 სექტემბერი.
7. რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრიზზე. თბილისი. 1-6 ოქტომბერი.

თანამედროვე ხუთჰიდი

1. უძლიერეს ხუთჰიდელთა შეჯიბრება. ლვოვი. 25-30 აპრილი.
2. სამატჩო შეხვედრა თბილისი-რიგა. თბილისი. 15-21 მაისი.
3. საქართველოს სსრ გუნდური პირველობა (მოზრდილთა და მოზარდთა შორის). თბილისი. 14-20 ივნისი.
4. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში (მოზრდილთა და მოზარდთა შორის). მოსკოვი. 17-23 ივლისი.
5. სსრ კავშირის პირადი პირველობა. მოსკოვი. 14-20 აგვისტო.
6. საქართველოს სსრ პირადი პირველობა. თბილისი. 7-13 სექტემბერი.
7. სამატჩო შეხვედრა თბილისი-ტალინი. თბილისი. 16-22 ოქტომბერი.

ტუვიით სროლა

1. ქალაქების უძლიერეს მსროლელთა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება:
I ტური. ადგილებზე. 10 ივნვრამდე.
II ტური. ადგილებზე. 28 თებერვლამდე.
2. უმაღლესი სასწავლებლების მსროლელთა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება:
I ტური. ადგილებზე. 5-25 მარტი.
II ტური. მოსკოვი. 5-10 ივნისი.
3. უძლიერეს მსროლელთა საკავშირო საგაზაფხულო შეჯიბრება. კიევი. 14-22 აპრილი.
4. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. მოსკოვი. 6-14 აგვისტო.
5. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 3-11 ოქტომბერი.
6. სამატჩო შეხვედრა უკრაინა-რსფსრ-საქართველო სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პროგრამით. თბილისი. 20-28 ოქტომბერი.

მშვილდოსნობა

1. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. დუშეთი. 21-26 აპრილი.

სასტენდო სროლა

1. საქართველოს სსრ უძლიერეს მსროლელთა შეჯიბრება. თბილისი. 18-22 აპრილი.
2. სსრ კავშირის უძლიერეს მსროლელთა შეჯიბრება. რიგა. 13-25 მაისი.
3. საქართველოს სსრ პირად-გუნდური ტერიტორიულ-საუწყებათშორისო პირველობა. თბილისი. 8-13 ივლისი.
4. საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა. მოსკოვი. 2-6 აგვისტო.
5. მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. ლენინგრადი. 6-9 აგვისტო.
6. სამატჩო შეხვედრა ლენინგრადი-ლიტვა-საქართველო. კაუნასი. 10-15 სექტემბერი.
7. სამატჩო შეხვედრა თბილისი-მოსკოვი. თბილისი. 1-5 ოქტომბერი.

ჩოგბურთი

1. მოზარდთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება:
ა) ზონალური შეჯიბრება. თბილისი. 3-8 იანვარი.
ბ) ფინალური შეჯიბრება. მოსკოვი. 25-31 მარტი.
2. საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება დახურულ კორტებზე. ტალინი. 6-19 თებერვალი.
3. საქართველოს სსრ პირადი პირველობა. ბათუმი. 4-13 ივლისი.
4. სსრ კავშირის პირადი პირველობა.
ა) ზონალური შეჯიბრება. ბაქო. 9-11 ივლისი.
ბ) ფინალი. რიგა. 7-17 სექტემბერი.
5. საქართველოს სსრ გუნდური პირველობა. სოხუმი. 16-22 ივლისი.
6. ტურნირი სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა მონაწილეობით საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრიზზე. თბილისი. 29 სექტემბერი-8 ოქტომბერი.
7. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. ერევანი. 20-29 ოქტომბერი.

მაგიდის ჩოგბურთი

1. პირად-გუნდური საკავშირო შეჯიბრება.
ა) ზონალური შეჯიბრება. კიევი. 5-11 იანვარი.
ბ) ფინალი. მოსკოვი. 24-31 მარტი.
2. სსრ კავშირის პირადი პირველობა.
ა) ნახევარფინალები. ერევანი. 30 ივნვარი-4 თებერვალი.
ბ) ფინალი. ტალინი. 6-12 თებერვალი.
3. მოზარდთა პირად-გუნდური რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისი. 24-31 მარტი.
4. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 23-30 სექტემბერი.
5. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. დუშანბე. 26 ოქტომბერი-3 სექტემბერი.

სიმძიმეების აწევა

1. ახალგაზრდა ძალოსანთა საქალაქო საკონკურსო შეჯიბრებები. ადგილებზე. ივნვარი.
2. მონაწილეობა ახალგაზრდა ძალოსანთა საკავშირო კონკურსის ფინალურ შეჯიბრებებში. მინსკი. 15-19 თებერვალი.
3. საქართველოს სსრ პირადი პირველობა. რუსთავი. 15-19 მარტი.
4. შესარჩევი საკავშირო შეჯიბრებები სსრ კავშირის პირადი პირველობისათვის. ოდესა, დუშანბე, სიმფეროპოლი. 6-9 მარტი, 13-16 აპრილი.
5. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაზე. თბილისი. 15-21 მაისი.
6. სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. ბათუმი. 11-16 ივლისი.
7. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება სპარტაკიადის პროგრამით. კრასნოდარი. 10-16 აგვისტო.
8. საქართველოს სსრ გუნდური პირველობა. სოხუმი. 18-22 ოქტომბერი.
9. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. ტალინი. 11-17 დეკემბერი.

ხელგურთი

1. საქართველოს სსრ პირველობა ვაუთა და ქალთა გუნდებს შორის (7X7). ფოთი. 28-29 იანვარი.
2. სსრ კავშირის პირველობა ვაუთა და ქალათა გუნდებს შორის (7X7):
ა) ზონაში. თბილისი. 23-30 მარტი.
ბ) ფინალი. სარატოვი, კაუნასი. 4-12 აპრილი.
3. საქართველოს სსრ პირველობა მოზარდთა გუნდებს შორის (7X7). ბათუმი. 14-20 აგვისტო.
4. 12 ქალაქის ვაუთა და ქალთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება (11 X 11). მინსკი. 3-12 ივლისი.
5. საკავშირო შეჯიბრება ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებს შორის (7X7). რიგა. 5-14 აგვისტო.

ფარიკაობა

1. რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება ახალგაზრდათა შორის. თბილისი. 4-10 იანვარი.
2. მონაწილეობა საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაში ახალგაზრდათა შორის. სარატოვი. 2-7 თებერვალი.
3. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. სოხუმი. 5-15 მაისი.
4. საქართველოს სსრ უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირი. თბილისი. 22-27 მაისი.
5. მონაწილეობა სსრ კავშირის უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირში. მოსკოვი. 16-20 ივნისი.
6. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ცხინვალი. 5-11 ივლისი.
7. სამატჩო შეხვედრა თბილისი-მოსკოვი. თბილისი. 16-22 ოქტომბერი.
8. სსრ კავშირის თასის გათამაშების II ტური. ბათუმი. 24-27 ნოემბერი.
9. მონაწილეობა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში. ოდესა. 20-25 დეკემბერი.

ციგურებით ფიგურული სრიალი

1. სამატჩო შეხვედრა საქართველო-ლატვია, ბაკურიანი. 21-23 იანვარი.
2. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა სპარტაკიადის პროგრამით. ბაკურიანი. 7-10 თებერვალი.
3. მონაწილეობა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადაში. სვერდლოვსკი. 4-11 მარტი.
4. სამატჩო შეხვედრა: საქართველო-უკრაინა-ლატვია. თბილისი. 10-12 აპრილი.
5. პირადი შეჯიბრება საქართველოს სსრ თასზე. თბილისი. 13-15 ოქტომბერი.
6. „დინამოს“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“ და „განთიადის“ ნაკრები გუნდების მატჩი. თბილისი. 20-22 დეკემბერი.

ფეხბურთი

1. საქართველოს სსრ პირველობა I ჯგუფში. კალენდრის მიხედვით. მარტი-ნოემბერი.
2. რესპუბლიკური შეჯიბრება „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა გუნდებთან არსებულ მოზარდთა ჯგუფებს, ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლისა და სპეცსკოლების გუნდებს შორის. კალენდრის მიხედვით. აპრილი-ივნისი.
3. სასკოლო ნაკრები გუნდების შეჯიბრება III სპარტაკიადის პროგრამით. გეგმის მიხედვით. აპრილი-სექტემბერი.
4. რესპუბლიკის პირველობა:
ა) ზონალური შეჯიბრება რაიონებზე გამარჯვებულთა შორის. კალენდრის მიხედვით. ივლისი-სექტემბერი.
ბ) ფინალური შეჯიბრება ზონებში გამარჯვებულთა შორის. კალენდრის მიხედვით. სექტემბერი-ნოემბერი.
5. საქართველოს სსრ თასი სპარტაკიადის პროგრამით (ფიზიკური კულტურის კოლექტივებისათვის). კალენდრის მიხედვით. აგვისტო-სექტემბერი.
6. საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდების შეჯიბრება III სპარტაკიადის პროგრამით. „გეგმის მიხედვით. ოქტომბერი-დეკემბერი.

შაიბიანი ჰოკეი

1. საქართველოს სსრ პირველობა სპარტაკიადის პროგრამით. ბაკურიანი. 6-11 თებერვალი.
2. მონაწილეობა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადაში. სვერდლოვსკი. 4-11 მარტი.
3. უძლიერესი გუნდების ტურნირი საქართველოს სსრ თასზე. ბაკურიანი. 18-22 დეკემბერი.

უ ა შ ი

1. მონაწილეობა სოფლის მოშაშეთა საკავშირო შეჯიბრებაში. ლენინგრადი. 3-18 თებერვალი
2. საქართველოს სსრ პირველობა საერთაშორისო შაშში. თბილისი. 5-20 თებერვალი.
3. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალში საერთაშორისო შაშში. კაუნასი, ზაპოროჟიე, კიშინიოვი. 1-15 მარტი.
4. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაზე ქალთა შორის. რიგა. 11-22 მარტი.
5. საქართველოს სსრ პირველობა რუსულ შაშში სპარტაკიადის პროგრამით. თბილისი. 1-15 მაისი.
6. რესპუბლიკური პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ცხინვალი. 5-20 ივნისი.
7. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაზე რუსულ შაშში. ჩელიაბინსკი. 1-14 აგვისტო.
8. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობის ფინალში საერთაშორისო შაშში. კიშინიოვი. 1-22 აგვისტო.
9. მონაწილეობა ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო ტურნირში. სევასტოპოლი. 15-30 აგვისტო.

ჭადრაკი

1 მოსწავლეთა საკავშირო ტურნირები. მოსკოვი. 3-16 იანვარი.
2. სტუდენტთა და მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური ტურნირი. თბილისი. 5-20 იანვარი.
3. სტუდენტთა და მუშა-ახალგაზრდობის საკავშირო ტურნირი. მოსკოვი. 25 იანვარი-7 თებერვალი.
4. საქართველოს სსრ პირველობა. თბილისი. 25 თებერვალი-12 მარტი.
5. საქართველოს სსრ პირველობა ქალთა შორის. მახარაძე. 8-30 მარტი.
6. მონაწილეობა საკავშირო მახობრივი ტურნირის ფინალში. ვლადიმირი. 10-23 მარტი.
7. მონაწილეობა ნორჩ ოსტატ მოჭადრაკეთა ტურნირში. ლენინგრადი. 1-23 ივლისი.
8. მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრება სპარტაკიადის პროგრამით. მოსკოვი. ივლისი.
9. მონაწილეობა ქალთა XXII პირადი პირველობის ნახევარფინალებში. ოდესა, კიევი, ომსკი. 1-25 აგვისტო.
10. მონაწილეობა სსრ კავშირის პირადი პირველობის ნახევარფინალებში. დნეპროპეტროვსკი, ნოვოსიბირსკი, რიგა, კისლოვოდსკი. 1-28 აგვისტო.
11. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. ალმა-ატა. 15-17 ოქტომბერი.
12. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობის ფინალში ქალთა შორის. ტაშკენტი. 15 ნოემბერი-10 დეკემბერი.
13. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაში. ერევანი. 21 ნოემბერი-22 დეკემბერი.
14 საქართველოს სსრ გუნდური პირველობა სპარტაკიადის პროგრამით (ზონალური შეჯიბრებები). თელავი, გორი, ჭიათურა, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, სოხუმი. 5-15 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი“ — ჩემპიონი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის უკანასკნელი, V ტურის წინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. როცა ყველა პარტიაში ფიქსირებული იქნა შედეგები, გაირკვა, რომ „ბურევესტნიკს“ თითქმის უზრუნველყოფილი აქვს ჩემპიონობა.

V ტურში ბურევესტნიკელები მშვიდად თამაშობდნენ „ავანგარდის“ წინააღმდეგ. პირველ ოთხ დაფაზე შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დასრულდა ბიკოვას პარტია კრიუკოვასთან. ზატულოვსკაია დამარცხდა ანტონოვასთან, რისთვისაც გაფრინდაშვილმა „შური იძია“ ბენკოზე. 5 5 — ასეთია ამ მატჩის დასასრული.

შეუპოვრად მიმდინარეობდა „ტრუდისა“ და „სპარტაკის“ შეხვედრა. კორჩნოიმ მოუგო პეტროსიანს. ტოგონიძემ ყაიმით დაამთავრა პარტია ვოლპერტთან. სხვა დაფებზე ივრძნობოდა სპარტაკელების უპირატესობა, რომლებმაც კიდეც გაიმარჯვეს — 6:4.

ლატვიელმა მოჭადრაკეებმა არმიელებთან მატჩი მოიგეს ანგარიშით 6:4.

ამრიგად, დამთავრდა მიმდინარე წლის დიდი ტურნირი ჭადრაკში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ბურევესტნიკმა“ — 32,5 ქულა 50-დან. გუნდის წევრებს — ვ. სმისლოვს, მ. ტაიმანოვს, ლ. პოლუგაევსკის, ი. ბოლესლავსკის, ვ. ბაგიროვს, ვ. ლიბერზონს, ა. ხოდოსს, ე. ბიკოვას, ტ. ზატულოვსკაიასა და ნ. გაფრინდაშვილს გადაეცათ ჩემპიონის ოქროს მედლები. მეორე ადგილი დაიკავა „ავანგარდმა“ — 26 ქულა, მესამე — „ტრუდმა“ — 25,5 ქულა. მეოთხე — „სპარტაკმა“ — 24 ქულა, მეხუთე — „დაუგავამ“ — 21,5 ქულა, მეექვსე — ცდსა-მ — 20 ქულა.

საინტერესოა შედეგები დაფების მიხედვით. I დაფაზე I-II-III ადგილები გაიყვეს სმისლოვმა, კორჩნოიმ და გელერმა. ბოლოსწინა ადგილი დაიკავა ტალმა, ბოლო კი — პეტროსიანმა. II დაფაზე გაიმარჯვა — ხოლმოვმა, III დაფაზე — კლოვანმა, IV დაფაზე — ბოლესლავსკიმ, V დაფაზე — შამკოვიჩმა, VI დაფაზე — ლუტიკოვმა, VII დაფაზე — ხოდოსმა, VIII დაფაზე — ზვორიკინამ. ბიკოვა II-III ადგილზეა. ტოგონიძემ მოაგროვა 2,5 ქულა. IX დაფაზე — ანტონოვამ, X დაფაზე — გაფრინდაშვილმა.

აღსანიშნავია ის, რომ გაფრინდაშვილმა აჩვენა აბსოლუტურად უკეთესი შედეგი პირველობაზე. ნახევარფინალსა და ფინალში მან მოიგო ყველა 11 შეხვედრა.

კუბა, ბოლივია, ეკვადორი

ამ შემთხვევის შემდეგ ქალაქის ქუჩებსა და კინოშიც კი პოლიციელთა ესკორტით დავდიოდით. ესეც შენი ამერიკული სტუმარმასპინძლობა.

საერთოდ, აქ ბევრ უცნაურს ნახავს და გაიგონებს კაცი. გუიაკილის ახლოს დღემდე ცხოვრობს კაციჭამია ინდიელთა ტომი, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ მათთან კონტაქტის დასამყარებლად ჩასული ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ყველა წევრი შეუჭამიათ და მოჭრილი თავები წესისამებრ გაუხმიათ მზეზე. დამუშავებული, დაპატარავებული თავის ქალების კოლექციონერები ამ უცნაურ ექსპონატებს ყველაზე ძვირფას საგვარეულო სამკაულად თვლიან.

ასეა თუ ისე, ჩვენმა გამარჯვებამ იქაური პრესა მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა და ყველა გაზეთმა აღიარა დინამოელ ფეხბურთელთა თამაშის მაღალი კლასი. განსაკუთრებით აქებდნენ კოტრიკაძეს, ხურცილავას, კალოევს, იამანიძესა და სხვებს. მათ დაიმსახურეს ეს — თვითეულმა ფეხბურთელმა მაქსიმალურად გამოავლინა თავისი შესაძლებლობა.

6 დეკემბერს „პრავდის“ საშუალებით გავიგეთ ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვება პრეტენდენტთა ტურნირში და იქვე ჩვენებურად აღვნიშნეთ ეს სასიხარულო ფაქტი. იმ დღეს ჩვენმა ნაცნობმა ქალმა გაგვაფრთხილა — უნივერსიტეტის სტუდენტებიდან ბობოლა მოქალაქეთ„ შვილები მოითხოვენ პროგრესულად მოაზროვნე რექტორის განთავისუფლებას და ქალაქგარეთ ნუ გახვალთ, შეიძლება აღგილი ჰქონდეს ტერორისტულ აქტსო.

ჩვენი ფეხბურთელები განსაკუთრებულად მოემზადნენ შარშანდელი ჩემპიონის „ბარსელონას“ წინააღმდეგ სათამაშოდ და უნდა ითქვას, საშინელი სიცხისა და სინესტის მიუხედავად, ბოლომდე გაუძლეს აღებულ ტემპს, მაშინ, როცა აღგილობრივმა ფეხბურთელებმა მოთაძაშეების გამოცვლა დაიწყეს. ვერა, ვერც „ბარსელონას“ ეწერა გულშემატკივართა იმედების გამართლება. მატჩი კვლავ დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1. გამტყუნდა რეპორტიორთა პროგნოზი — „დაუმარცხებელ თბილისელთა წინსვლას „ბარსელონას“ ფეხბურთელები შეაჩერებენო“.

8 დეკემბერს ეკვადორის დედაქალაქ კიტოში დავეშვით, სადაც 11 დეკემბერს უნდა ჩაგვეტარებინა მატჩი დილის 11 საათზე. ეს იმით

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

★

ახსნეს, რომ — სტადიონ „ოლიმპიას“ განათება არ ჰქონდა და საღამოს ტარდებოდა კორიდა — ხარების ბრძოლა, რომელიც ამ ქვეყანაში № 1 სანახაობადაა აღიარებული.

კიტოში, რომელიც გუიაკილზე ბევრად პატარაა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვეკითხებიან რეპორტიორები მათ დედაქალაქში მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

— ბუნება კარგია, ხალხიც შესაფერი, მაგრამ სიღატაკე და შიმშილი ყველაფერს ფარავს! — ვეუბნებით დაუფარავად.

ქალაქში თავისუფლების ქანდაკებაა აღმართული, მაგრამ სინამდვილეში აქ თავისუფლად მხოლოდ ამერიკული კაპიტალი და ძალა ბატონობს. მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები ინდიელები, ზანგები, კრეოლები და მულატები ნამდვილი თავისუფლებისაგან ძალიან შორს დგანან.

სხვადასხვა პარტიებიდან, რომლებიც აქ ზომაზე მეტია, ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებს მხოლოდ კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები იცავენ.

მატჩის შემდეგ, რომელიც კიტოს საკლუბო გუნდების ნაკრების დამარცხებით დამთავრდა — 1:3, რამდენიმე ამხანაგი მიგვიწვიეს ვახშამზე პრეზიდენტთან, რომელიც აღრე სწვევოდა თბილისსა და მცხეთას. — მე ერთხელ კიდევ მინდა ვეწვიო თქვენს ქვეყანას, — მითხრა გამომშვიდობებისას მან, ოღონდ არ ვიცი, როგორც პრეზიდენტი თუ, როგორც პოლიტიკური მოღვაწეო.

დარჩენილ დროში ქალაქგარეთ ვინახულეთ დედამიწის შუაგამყოფი ხაზი — ეკვადორი, რომელიც ფეხებშუა მოვიქციეთ. ერთი ფეხი დედამიწის მარცხენა ნახევარსფეროზე გვაქვს, ერთიც მარჯვენაზე. ეს მართლაც დაუვიწყარი წუთია ადამიანის ცხოვრებაში.

ამის შემდეგ დავესწარით ხარეგბის ბრძოლას, რომელმაც არც თუ ისე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე.

მოედანზე სამი კაცის ამალით გამოსული ტორერო (ტორეადორი), ხარის ძირითად მოწინააღმდეგეს წარმოადგენს. პირუტყვის აღსაგზნებლად ლეიბებით შეჯავშნულ ცხენზე მჯდარი პიკადორები გრძელი შუბებით ჩხვლეტენ ხარს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება გამძვინვარებული ცხოველისა და ტორეადორის დუელი, რომელიც არც თუ ისე იშვიათად მთავრდება ხოლმე პირველის გამარჯვებით. კორიდამ პირველად ქალიან გაკვეთა. მაგრამ ბრძოლის დასასრულს ამწარ ხარის სიკვდილმა მეტად არასასიამოვნო გუნებაზე დაგვაყენა, კარგი ბრძოლის ჩატარების შემთხვევაში ტორეადორს აჯილდოვებენ ხარის ყურით, საუკეთესო ბრძოლისათვის კი ორი ყურითა და კუდით, უცნაური ჯილდოა სასიკვდილოდ განწირული ადამიანისათვის.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ჩატარებულმა ტურნემ ბევრი რამ შესძინა ჩვენს ფეხბურთელებს. ისინი გაეცნენ არა მარტო სხვადასხვა ტექნიკისა და ტაქტიკის მოთამაშეებს, არამედ სხვადასხვა დროში, კლიმატურ პირობებსა და სიმაღლეებზე თამაშსაც, რასაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მატჩის ნორმალურად ჩატარებისათვის.

8 გამარჯვება და ერთი ფრე 9 თამაშიდან, 39 გატანილი გოლი საკუთარში მიღებული ცხრა ბურთის საწინააღმდეგოდ. ეს ურიგო შედეგი როდია გუნდისათვის, რომელიც უცხოელთა მოედნებზე ორი წამყვანი მოთამაშის გარეშე გამოდიოდა ხანგრძლივი და მძიმე საფეხბურთო სეზონის შემდეგ.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ლელო“, № 212, 213, 214.

ახალი წლის მიჯნაზე



ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). მოთხილამურეთა შეჯიბრება ჩვენი გაზეთის ჯილდოზე მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ იგი იყო საქართველოს ნაკრების ძალთა სერიოზული შემოწმება ხალხთა I ზამთრის საკავშირო სპარტაკიადისათვის. შეჯიბრებამ ნათლად გამოავლინა. ყველა ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც გაგვაჩნია მოთხილამურეთა მზადების საქმეში.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი გაზეთის პრიზზე გამართული რიგით მეხუთე შეჯიბრება ყველა წინანდელზე მასობრივი იყო. თვით სპორტსმენებმა მას საქართველოს „მცირე ჩემპიონატი“ შეარქვეს. გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ დინამოელი მოთხილამურენი, აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის სპორტსმენები, რომელთა ხელმძღვანელებმა, არ ისურვეს გამოეყენებინათ ძალთა შემოწმების ეს საუკეთესო საშუალება და მოევლინებინათ გუნდები.

როგორც ვიტყობინებოდით, პროგრამის 9 სახეობიდან უკვე შეჯიბრების პირველ დღეს გამოვლინდა 4 გამარჯვებული და ოთხივე შემთხვევაში პრიზიორთა შორის ძირითადად ნაცნობ გვარებს ეხვდებით. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული ბურევესტნიკელი კ. კრუგლოვა, წარსულში ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი გოგონათა შორის, ამჯერად საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მსმენელი.

პირველ დღეს ჩაებნენ ბრძოლაში ორჭიდელებიც. ამ დღეს ორჭიდელთაგან დაწინაურდა ჯ. წაქაძე („ბურევესტნიკი“), რომელიც 4,30 წუთით ჯობდა სპორტის ოსტატ პ. გავას („კოლმეურნე“), მაგრამ პირველ ეტაპზე (რბენაში) გამარჯვება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველაფერს, ვინაიდან ორჭიდში პროგრამის მეორე სახეობას თითქმის ყოველთვის ცვლილებები შეაქვს ხოლმე.

ასე იყო ახლაც. 45-მეტრიანი ტრაპლინიდან ხტომაში დასაშვებ ბაქანზე შვიდმა სპორტსმენმა მოიყარა თავი (ორჭიდი მხოლოდ სპორტულ საზოგადოებათა გუნდების შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა). თითქმის ამდენივე მოხტუნავემ გამოთქვა სურვილი ეცადათ ძალები პირად პირველობაზე და ბრძოლას მეტად საინტერესო სახე მიეცა.

ახლად რეკონსტრუირებულ ტრამპლინ „საქართველოზე“ ერთმანეთს ცვლიდნენ სპორტსმენები. წინა დღის ლიდერთაგან მარტო განთიადელმა გ. ნაგოგამ შეინარჩუნა პოზიციები. იგი ორ საუკეთესო ცდაზე 41-41 მეტრზე გადახტა, მიიღო 192,4 ქულა და ორჭიდში 415,03 ქულით მოიპოვა მესამე ხარისხის დიპლომი. ჯ. წაქაძის დამარცხებისათვის პ. გავას 13 მეტრის მოგება სჭირდებოდა ხტომებში. ოსტატმა ამოცანა წარმატებით განახორციელა, ორჭიდში 431,04 ქულა მოაგროვა (44 და 43,5 მეტრი) და ერთხელ კიდევ დამტკიცა თავისი უპირატესობა საქართველოს ორჭიდოსანთა შორის. ჯ. წაქაძეს მოუგო ფ. თვაურიაც, („განთიადი“) — 420,08 ქულა. ამასთან იგი ერთერთ ცდაზე გადახტა ყველაზე შორს 44,5 მეტრზე.

მთავარი პრიზების საკითხი ბოლო დღეს — 10 კმ რბენას ვაჟებისათვის, გიგანტურ სლალომსა (ვაჟები და ქალები) და 70 მ ტრამპლინიდან ხტომას უნდა გადაეწყვიტა. 10 კილომეტრზე რბენაში ნ. ტროფიმოვმა („კოლმეურნე“) პირველ დღეს დისტანცია განვლო პირველ თანრიგზე უკეთეს დროში, ამჯერადაც მან გაიმარჯვა, მაგრამ მეორე თანრიგის შედეგით — 38.52. მეორე თანრიგი შეასრულეს მომდევნო პრიზიორებმაც ჯ. წაქაძემ, ა. ქუმარიტაშვილმა („კოლმეურნე“) და კიდევ 7 სპორტსმენმა. დანარჩენი 13 მორბენალი კი უფრო დაბალი შედეგებით დაკმაყოფილდა. სპარტაკიადისათვის კი რბენაში 18 პირველთანრიგოსანი გვჭირდება.

გიგანტურ სლალომში ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა ი. ჯანგობაგოვმა („დინამო“)—42,2. მას 0,2 წამით ჩამორჩა გ. აბრამიშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და 1,1 წამით — ო. ხვედელიძე („ბურევესტნიკი“). ქალებში პირველი იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის წევრი ნ. ქურდოღლიანი — 45,0 წ. ჭ. ბანდური („განთიადი“) და ვ. მასიუკი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.

ამით დამთავრდა შეჯიბრება ფიზკულტურული კოლექტივებისათვის. „ლელოს“ პრიზი მესამედ მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა. ბაკურიანის მელიების საბჭოთა მეურნეობის გუნდი გამოვიდა მეორე ადგილზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოთხილამურენი — მესამეზე, მაგრამ გაურკვეველი დარჩა საზოგადოებებს შორის გამარჯვებული გუნდის საკითხი, ვინაიდან 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომები გადაიდო ორი დღით და 28 დეკემბერს შეჯამდა სპორტულ საზოგადოებათა შეჯიბრების საბოლოო შედეგებიც. „ლელოს“ თასი მოიპოვეს „კოლმეურნის“ მოთხილამურეებმა. 70 მ ტრამპლინიდან ხტომაში კვლავ ისახელა თავი პ. გავამ, მან ორი ცდის ჯამში 226,5 ქულა მოაგროვა. იგი გადახტა ყველაზე შორს — 67 მეტრზე და მიიღო ყველაზე მაღალი შეფასება. მეორე ადგილზე გამოვიდა დინამოელი ზ. თვაური — 214 ქულა, მესამეზე — ჯ. თვაური („ბურევესტნიკი“) — 211 ქულა.

თუ განვლილი შეჯიბრების შედეგებს გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ ჩვენი სპორტსმენები წელს უფრო ცუდად არიან მომზადებული, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდისათვის. ფაქტად ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ შარშან 15-მა სპორტსმენმა აჩვენა პირველი თანრიგის შედეგი, წელს კი ეს ციფრი საგრძნობლად დაეცა.

ეს ფაქტი ჩვენს სპორტსმენებს, მწვრთნელებს ავალებს მაქსიმალურად გამოიყენონ საკავშირო სპარტაკიადამდე დარჩენილი ორი თვე, რათა ამ მასობრივ, კომპლექსურ შეჯიბრებებზე თქვან გადამწყვეტი სიტყვა.

ო. გელაშვილი

სურათზე: ტრამპლინიდან ხტომაში და ორჭიდში გამარჯვებული პ. გავა.

ფეხბურთის ქრონიკა

სამხრეთ ამერიკაში გრძელდება უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ტურნე. მორიგი მატჩი უნგრელებს ჰქონდათ ურუგვაის ჩემპიონ „პენიაროლთან“.

უკვე მე-10 წუთისათვის უნგრელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0. შემდგომში „პენიაროლმა“ გაქვითა ერთი გოლი და თამაში დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით — 2:1.

* * *

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ბელგიისა და ბულგარეთის ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი, რომელიც ბრიუსელში შედგა.

ბელგიელებმა დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე დიდი ანგარიშით — 4:0.

რედაქტორი ი. უგულავა.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზამთრის ლაბორატიულ-საგამოცდო სესია ყველა კურსის სტუდენტთათვის ჩატარდება 4 იანვრიდან 20 იანვრამდე.

სტუდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 2 და 3 იანვარს ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის სამდივნოში 9-დან 16 საათამდე.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 49.

რექტორატი.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის —3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05735